


ფეხლათა სახლი
ნიკოლოზ უშალაშვილისა.



გამოცემა
წ. ჭიჭინაძისა.

თფილისი
ელექტრომბეჭდავი აზხ. „სორაპანი“ მაღათოვის კუნძ. № 1.
1906

ნიკოლოზ გიორგისძე ზუბალაშვილი.

ნიკოლოზ ზუბალაშვილი დაიბადა 1820 წ. გარდაიცვალა 1898 წ. მამა ამის გიორგი ივანესძე იყო თავის დროის კვლად გამოჩენილი პირი, კარგი შეძლების პატრონი და მთავრობის წინაშეც დამსახურებული, რადგანაც ამ პირის შესახებ მათს საგვარეულო ისტორიაში გვაქვს ცნობები მოთავსებული, ამიტომ აქ ვიტყვით მხოლოდ იმასა, რომ გიორგი ივანესძეს მთავრობისაგან ხმალიც აქენდა ბოძებული „ზა ხრაბროსტი“. თვით სამსახურის პირადაც ირიცხებოდა. აწინდელი თფილისის ქართული სემინარია ამის გაკეთებულია და მერე იაფად გაყიდული ქართველ სამღვდელოებაზედ 1837 წლებს.

ასეთ პირის ოჯახში იზრდებოდა ნიკოლოზ გიორგისძე ზუბალაშვილი. გიორგი ზუბალაშვილს ნიკოლოზს გარდა სხვა შეიღებიც ჰყვანდა. სვიმონი, იოსები, ნიკოლოზი და ივანე, რომელიც დღეს თფილისში სცხოვრებს და გამოჩენილ პირად ირიცხება. ქალები ჰყვანდა—მაია, ელენე, ეკატერინე, ნატალია და სოფიო. ნიკოლოზ ზუბალაშვილი პატარაობიდანვე დიდი სათნო პირი ყოფილა და ცხოვრების ასპარსზედ მეტად მარჯვე და კოჩალი. მამის მავალითებს იგი კარვად ითვისებდა და მის მეოხებით დროს მიღწეული საუკეთესო პირადაც გამოვიდა.

მთელი ცხოვრება ნიკოლოზ გიორგისძისა არის სამავალითო და მისაბაძი. იგი იყო დაუცხრომელა მშრომელი, საქმის მკეთებელი და ზომიერის ცხოვრების მპყრობელი. მამისაგან დანარჩენი ქონება სხვა და სხვა პირებივით კი არ

გაფლანგა, არამედ კეთილად მოიხმარა და ცხოვრებისთვის მოსახმარს ქონებას გარდა სხვა დანარჩენი მეტი მტკიცედ და სუფთად შეინახა. პატარაობიდანვე მას დიდი სიბრაღული აქვდა მუშა და მშრომელი ხალხისა, გარდა ამისა გაქირვებულთ დახმარებაც უხვად იცოდა.

დროს მიღწეულმა ცოლიც შეირთო, ფრანკუზის ქალი, ეს მანდილოსანი მას კარგს, პატიოსან ამხანაგად გაუჩნდა, სახელი ამ ქალისა ემმა გახლავსთ და როგორც ნიკოლოზ გიორგისძე, იგიც პატიოსან სათნო ადამიანად სჩანს, ქრმის თანამოაზრეთ და მის პატივის მცემელად. ქრმის განზრახვას იგი ყოველთვის დიდის სიმპატიურის თვალით უმზერდა და ამიტომაც თვის განძრახულებაში ხელს არ უშლიდა, ყოველს მის განძრახვას პატივის ცემით უმზერდა, ამიტომაც გახლდათ, რომ ნიკოლოზ გიორგისძემ თავის სიკვდილის წინაღვე გააკეთა ანდერძის წერილი და მდიდარის ქონებიდან თფილისის საზოგადოებასაც დიდი შეძლება დაუტოვა ღარბ ხალხთა სასარგებლოდ. სხვა უამისო ქალი და ისიც უცხო ტომისა, არას დროს არ მისცემდა ქმარს ნებას, რომ იმდონი შეძლება საზოგადოთ დაეტოვებინა.

ნიკოლოზ გიორგისძეს რომ საწყალი ხალხი და მათი დახმარება დიდათ უყვარდა, ეს იქიდანაც კარგად სჩანს, რომ მან ეს ღარბ ლატაკნი არ დაიფიწყა სიკვდილის შემდეგაც. მეუღლე ამათი უშვილო გახლავსთ და უნდა ითქვას, რომ მათ არც ამითი სწყდებოდათ გული, რადგანაც კარგად იცოდნენ მოყვასთა სიყვარული და ის პატივისცემა, რითაც მათი გვარის წევრნი უხვად იყვნენ დაჯილდოვებულნი. უკანასკნელს წლებში, ანუ მოხუცების შესვლის შემდეგ, თვისის მეუღლის ემმას პატივის საცემლად საფრანგეთში გადასახლდა და პარიჟში სცხოვრებდა, რადგანაც ეს ქალიც იქაური გახლდათ. ნიკოლოზ გიორგისძე თუმცა საფრანგეთში სცხოვრებდა, მაგრამ სულით და გულით კი მაინც სამშობლოს ეკუთვნოდა და ორს-სამს წელიწადში ერთხელ თფილისშიაც

ჩამოდიოდა. თფილისში დროებით შეთბოდა და ამ ხნის განმავლობაში ლარიზ ლატაკ ხალხს უხვად ურიგებდა ფულს, დახმარებას აძლევდა ზომიერებით.

უნდა მოგახსენოთ, რომ ნიკოლოზ გიორგისძე ისეთი თვისების პირი იყო, რომ ძნელად მას ვისთვისმე რამე ეწყენებინოს, წყენა, ბოროტება, ჯავრი და სხვანი მის გულს თურმე იშვიათად მიეკარებოდა, ასეთს არაკაცურს ღირსებას თვითონაც ერიდებოდა და ძნელად რომ იგი ვისმეს დამწყარლებოდა. იყო მახვილ-გონიერი კაცი, კარგად მცოდნე ქართულის ენისა, კარგის ქართულის კილოთი მოლაპარაკე, ნამდვილი ტიპი იყო ძველის ქართულის მცოდნისა და მასთანვე კარგად დახელოვნებული ქართულს წერა-კითხვაში. უყვარდა საქართველოს ისტორიის კითხვა და ძველებური ამბები. საქართველოს ისტორიაც იცოდა და ამ ქვეყანასა და ერსაც დიდათ სცემდა პატივს. ქართულს ენასა და ისტორიას გარდა, როგორც გაგებულს და განათლებულს პირს, ვეროპის ერთა ისტორიები და ენებიც კარგად აქვნდა შესწავლილი. ნამეტურ კარგად და ზედ მიწევნით იცოდა ფრანგული ენა. თავის სამშობლოს სიყვირული იქამდის განცხოველებული აქვნდა რომ პარიჟში ყოფნის დროს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1898 წ. ანდერძი და ნატერა დაეტოვებინა, რომ გვამი მისი საქართველოში მოესვენებინათ და თფილისის კათოლიკეთა ეკლესიაში დაესაფლავებინათ. ანდერძი აღსრულებულ იქმნა და მისი გვამი პარიჟიდან თფილისში ჩამოიტანეს და კათოლიკეთა ეკლესიაში დაასაფლავეს, თვისის მამის გიორგის ივანესძის გვერდით. ნიკოლოზ გიორგისძის საფლავს ზემოდ კედელში აქვს მარმარილოს ქვა, სადაც ფრანგულს ენაზედ შემდეგი წარწერა გახლავს მოთავსებული: „ნიკოლოზ გიორგისძე ზუბალოვი გარდაიცვალა ქ. ნიცას, 21 იანვარს, 1898 წ. შობილდგან 78 წლის“. ეს გახლავთ ფრანგულათ მიწერილი! ამის გვერდითვე ასაფლავია ძმაც სიმონი გიორგისძე ზუბალოვი, გარდ. 1870 წ.

იყო 65 წ. და როგორც ესთქვით მამა ამათი გიორგი ივანესძე ზუბალოვი დაი 1782 წ.—1864 წ. მეუღლე ნიკოლოზისა ემმა, დღესაც ცოცხალი გახლავსთ და სცხოვრებს საზღვარ გარეთ. ნიკოლოზის ძმა კი ივანე გაორგისძე თფილისში სცხოვრებს თავის სახლობით და შვილებით.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს დროში, ნიკოლოზ ზუბალაშვილის ჰაზრისთანა კაცები ერთს იშვიათი არს, ამას თვით საქმენი ასაბუთებენ ნ. ზუბალაშვილისა და არა ჩვენი სიტყვები: მისი მცნება ყოფილა შემდეგ საქმეთა სიყვარული: შრომა, გარჯა სინდისიერად, მოყვასთა პატივისცემა და სწეულთა და უძღურთა მფარველობა. უძღურთა მფარველობა განურჩეველი ეროვნების და სარწმუნოების. მიტომაც განსვენებულმა წინათვე დაუტოვა ქ. თფილისის გამგეობას დიდი ქონება და მით დაევალათ მათ, თფილისის ღარიბთა და სწეულთათვის საღმე თავ-შესაფარი სახლის აღგება. დიახ, ესეთი საქმე ჩვენში, უნდა მოგახსენოთ XIX საუკ. თითქმის პირველი მაგალითია. ესეთი დიდების სახელი ჯერეთ არავის მოუხვეჭია ჩვენში. ეს პირველი მაგალითი იყო და მის მომდევრად სტეფანე კოსტანტინესძე ზუბალაშვილი, რომელიც განუსაზღვრელის კაცთა სიყვარულით იყო სავსე.

ნიკოლოზ გიორგისძეს შეუსრულდა წადილი, თფილისის გამგეობამ მისი ანდერძი შეასრულა, ღარიბთათვის, თფილისში, მთაწმინდას, აღაშენეს მშვენიერი ოთხ სართულიანი სახლი და იგი დააწესეს ღარიბთა სამადლოთ, ნიკოლოზ გიორგისძის ზუბალაშვილის მცნებათა ძალით ამ სახლის არსებობის საქმე წინაღვე ქკუიერად მოწესრიგებულა. შენობისთვის თანხა ცალკე განსაზღვრულა და მასში მოთავსებულ ღარიბთა შესანახათაც იმდენი თანხა განაწილებულა, რომლის სარგებელიც ყოველთვის შეუძლოთა შესანახად საკმარისი იქმნება. შეუძლოთა რიცხვს თავისი ზომა აქვს, ე. ი. ის, რასა და რამდენსაც ძირეული თანხის სარგებელი ეყოფა, იქ იმდენს შეუძლოთაც შეინახავენ. შეუძლოთა რიცხვის

შენაცვა განაწილებულია ასე: ერთი ნაწილი უნდა იყოს რუსის გვარის შეუძლონი, მეორე ნაწილი სომხის გვარისა და მესამე ნაწილი ქართველის გვარისა. ქართველ გვარის ნაწილს ეკუთვნიან ოსები, აქარლები და ქართველ კათოლიკენი, ასევე სხვა და სხვა ტომთაც. ესეც აბა რაღა ფიქრი უნდა, რომ ქვემარტი საქმეა. ვისაც სურს რომ ამ დიდებულს სამაგალითო საქმის სინამდვილეზედ დარწმუნდეს, მაშინ იგი წავიდეს ამ სახლში და ნახოს იქ ყოველივე თუ რა გვარად არის მოწყობილი.

აქ არის მოთავსებული მშვენიერი ოთახები სუფთად, ყოველივე კარგად. შეუძლოთა რიცხვი შესდგება მართლაც და შეუძლოთაგან. მოხუცთა, ღარიბთა და ასეთ უძღურთაგან, რომელთა პატრონობაც მართლაც რომ კაცის ზნეობრივ ვალს შეადგენს. ავად მყოფთ, ანუ ღატაკთ აქ ქალაქის გამგეობა იღებს სავის მკურნალთა გაშინჯვით და დასაბუთებით. საქმელი აქვთ კარგი და ასევე ტანთ საცმელი, ერთის სიტყვით ყველაფრით სრული, ხოლო აქ მოთავსება შეიძლება მარტოდ იმათი ვინც შეუძლონი არიან და მასთან ისეთნი რომ მუშაობა არ შეუძლიანთ უძღურების გამო კაცს იამება ასეთი საქმის ნახვა, თვით საქმენი ასიამოვნებს დიდათ, რადგანაც ჩვენს დროშიაც კვლავად სჩნდებიან თითო ოროლა ასეთნი სამადლო გვამნი. მაინც ასეთი დარგი ზუბალაშვილების გვარის მხვედრია. ზუბალაშვილები ნაოსრები არიან, მერე ცხინვალის ხეობისაკენ გადმოსულნი, სოფ. ხეთს დასახლებულნი. XVII საუკუნეში, ამ გვარის რაოდენიმე მემობარნი გორის ციხიდან ოსმალთ ჩაუფარდათ ტყვეთ და წასვლის დროს ოსმალეთში წაიყვანეს ეს მემობარ გმირ ზუბალაშვილები. ორს ამათგანს XVII საუკ. ნახევარს, ახალციხის კათოლიკის მღვდლები ტყეობიდან ათავისუფლებდენ და მერე ამათ კათოლიკის სარწმუნოებას უკავშირებდენ. ამათი მამათ მთავარი კათოლიკოსთ ითვლება გიორგი ზუბალოვი რომლის დაბადებაც 1690 წ. ეკუთვნის. ამ გიორგის შვილის შვილის შვილია ნიკოლოზი.

საქართველოში მათხოვართა სიბრალოელი ქართველებმა ძველიდგანვე იცოდენ, ხოლო საქართველოში უმეტესად მათხოვრებად სპარს ოსმალთაგან გამოქცეული სომხები და ისორები იყვნენ ხოლც. ქართველთაგან იშვიათი იყო მათხოვარი. მაინც სამეფოს, აქვანდათ თფილისში ორი სამათხოვრო სახლი. ერთს სახლში მუდამ დღე დაიარებოდნენ ღარიბნი და კერძს სკამდენ და მეორე სახლიდამ შეუძლოთა ოჯახებს კვირაში ერთხელ შაბათობით აძლევდენ ფქვილს, მარილს, ლობიოს, ზეთს, ერბოს, ბრინჯს და სხვა ასეთებს ოჯახის წევრთა საქიროების შესაფერად. ეს სამადლო სახლები დაქცეულნი იქმნენ 1795 წ. ერთი ამ სახლთაგანი იყო გარეთუბანს, სარდლიაან სახლს ეტყოდნენ, სადაც დღეს ლონდონის სასტუმროა. იქ მაშინდელი სამადლო სახლის დანაშთენში დღეს ტრაქტორია მოთავსებული. ეს სახლი 1805 წლებში, ორბელიანთგან ზუბალაშვილებმა იყიდეს, დღესაც ამათ ეკუთვნის.

საქართველოში, მათხოვრების დახმარება იცოდნენ მხოლოდ, ღამის გათიებაკი არა. მაშინ ალაგები იაფი იყო და ღარიბთ ყველას თავის ქოხი და სორო აქვანდა. საქმე მხოლოდ საზრდოება იყო. ესეც იაფი იყო მაშინ, 1795 წ. შემდეგ, ერთი სამადლო სახლი მოღნინის ქუჩისკენ დაარსეს, რომლის არსებობამ 1830 წლამდე გასტანა, შემდეგ ამის 1865 დაარსეს თფილისის საზოგადო საავადმყოფოსთან, მის მერე ნემენცებმაც გააკეთეს კუკიაში და უნდა მოგეხსენოთ, რომ ასეთიკი არაფის რა გაუკეთებია. ეს პირველი სამავალითო საქმე გასლავსთ და ამიტომ სათქმელია ისიც, რომ ნიკოლოზ გიორგის ძის ხსენებაც მთელის მათის საგვარეულო წევრთა რიცხვითაც ყოველთვის სამახსოვროდ დაშთებამ მთელის თფილისის ხალხისთვის. ვიტყვი, რომ ასეთ საქმეებს რამდენსაც უნდა უარს ჰყოფენ ზოგიერთ მოაზრებები, მე კი დიდს მნიშვნელობას ვაძლევ. თუ მთავრობა არ ზრუნავს ასეთ შეუძლოთათვის, მაშინ მოვალეა რომ თვით საზოგადოება გრძობდეს და ზრუნავდეს თავის თავსა და გაქირებაზედ. ამის ნიშან წყალია ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილი და მისგან დარჩენილი უკვდავი საქმენი.

94/99

6 256